



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიცინა
ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი25 სექტემბერი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი23ოქტომბერი 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა მერვე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მედიცინის დოქტორი 0912
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინა ფხაკაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე - უნივერსიტეტი „ნიუ ვიუენი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ჯიქია - შპს „ჯეოჰოსპიტალი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო ინგლისურენოვანი პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. მისი ხანგრძლივობაა 3-5 აკადემიური წელი. სადოქტორო პროგრამა - მედიცინა - მოიცავს ორ ქვე-მიმართულებას: 1. მოლეკულური და ექსპერიმენტული მედიცინა; 2. ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინა.

ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა 2011 წლიდან დღემდე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების მაჩვენებლები, აგრეთვე მედიცინის მიმართულების მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები და საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან მიღებული უკუკავშირი.

პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევდა სადოქტორო პროგრამის კურიკულუმის ექსპერტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინგლისურ ენაზე პროგრამის განახორციელებაზე თანხმობის მისაღებად თხოვნით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომელმაც 2020 წლის 27 თებერვლის N252299 კორესპონდენციის პასუხად აცნობა, რომ წინააღმდეგი არაა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინგლისურ ენაზე განახორციელოს მედიცინის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა და ეთხოვას საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიემართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისთვის.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნისთვის თვითშეფასების პროცესის ფარგლებში მოხდა პროგრამული აკრედიტაციის ახალი სტანდარტების ანალიზი და შეფასებულ იქნა არსებული მდგომარეობა მოთხოვნებთან შესაბამისობის ხარისხის იდენტიფიცირების მიზნით, შეიქმნა თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით განახორციელა მონაცემების შეგროვება და ანალიზი, აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების შესაბამისად მოამზადა თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 1 20 0000838546, 15/09/2020 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 25 სექტემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე

(თავმჯდომარე); ხათუნა საგანელიძე (წევრი); დავით ჯიქია (წევრი); ანი ბილანიშვილი (წევრი) განახორციელა ონლაინ ვიზიტი თბილისში სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ვიზიტი მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე გაიმართა შეხვედრები PhD სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებთან. ჯგუფმა ონლაინ დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ **რეკომენდაციები**

2.1. დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობა დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციის პირთათვის, განისაზღვროს დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის შეუსაბამობა პროგრამის შინაარსსა და გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, ასევე გასწორდეს ჩანაწერი მიღების წინაპირობაში „მედიცინის მიმართულების მაგისტრთან გათანაბრებული კვალიფიკაცია“.

2.3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია: ინგლისური სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“ წინაპირობის გადახედვა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.3. სასწავლო კურსებისათვის მისანიჭებელი კრედიტების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული იქნას აღნიშნული კურსების სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი), მათი შინაარსი და მოცულობა.

2.4. პროგრამით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, დოქტორანტის ფინანსური ვალდებულებების დაზუსტება.

2.6. დაზუსტდეს შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები, რათა ნათელი გახდეს დოქტორანტისათვის თითოეული ქულის დაგროვების მექანიზმი.

2.6. სადისერტაციო შრომათა ვებ გვერდზე განთავსების, უნივერსიტეტის და ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაბარების სავალდებულო წესის შემუშავება;

3.1. პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება.

4.1. აკადემიური პერსონალის დატვირთვის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ერთ ხელმძღვანელზე განსაზღვრული აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების რაოდენობა იყოს 5-ზე ნაკლები, მაქსიმალური რაოდენობა 3.

4.4. სასურველია, გაკეთდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი, სადაც იქნება ასახული კონკრეტული ადმინისტრაციული/აკადემიური პოზიცია და ანაზღაურება, სამეცნიერო კვლევის სახე, ჩართული პირების რაოდენობა და კვლევისთვის საჭირო ხარჯის (მასალები, რეაქტივები და სხვ.) სტრუქტურა.

5.1. სასურველი იქნებოდა თვითშეფასების განხორციელების პროცესში სტუდენტების მეტი ჩართულობა.

5.2. პროგრამის ინტერესებისათვის სასურველი იქნებოდა ღრმა ანალიზის მომცველი პროგრამის გარე შეფასება.

5.3. პროგრამის ინტერესებისათვის სასურველი იქნებოდა გარე შეფასებაში დამსაქმებლების მჭიდრო უკუკავშირი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მედიცინის სადოქტორო პროგრამის მიზანია ბაზისური/კლინიკური მედიცინის მიმართულებით მოამზადოს კონკურენტუნარიანი მკვლევარი, რომელიც შეძლებს ეთიკური პრინციპების დაცვით განხორციელებული ინოვაციური კვლევის საფუძველზე უახლესი ცოდნის შექმნას და მის ტრანსფერს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის დონეზე; ასევე ამ ცოდნის გამოყენებას კვლევით და აკადემიურ საქმიანობაში. მედიცინის სადოქტორო პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური დამილწევადია. ამ განაცხადში ნათლადაა ჩამოყალიბებული რომ პროგრამა მიმართულია ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებისკენ, რომლებიც თავისი ცოდნით და კვლევითი უნარებით წვლილს შეიტანენ დარგის და საზოგადოების განვითარებაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის მიზანი შემუშავებულია და ეყრდნობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადს და ითვალისწინებს სადოქტორო პროგრამების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევას, ასევე არსებული სადოქტორო პროგრამების კვლევის ანგარიშს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი
- შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევა
- სადოქტორო საფეხურის პროგრამების კვლევის ანგარიში

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაში აღწერილია სწავლის შედეგები, რომელიც ასახავს იმ ცოდნას და უნარებს, რომელსაც შეიძენს პროგრამის კურსდამთავრებული:

- ბაზისური/კლინიკური მედიცინის მიმართულებით ახალი ცოდნის შექმნის მიზნით შეუძლია ინოვაციური კვლევების დაგეგმვა და განხორციელება, სამედიცინო კვლევების თანამედროვე დამალაინფორმაციული მეთოდების გამოყენებით;
- შეუძლია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე კვლევის შემდგომი პროცესებისა და ახალი იდეების განვითარება;
- კვლევების წარმოებისას იცავს სამეცნიერო ეთიკის ნორმებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;
- აქვს ეფექტური სამეცნიერო წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი;
- აქვს სამედიცინო სწავლებაში ეფექტური სტრატეგიებისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენების უნარი;
- შეუძლია ახალი ცოდნის ვალიდობის დადასტურება საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებში.

პროგრამის სწავლის შედეგების წარმოდგენილი რედაქცია ემყარება დაინტერესებული მხარეების (პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების) ჩართულობას, გათვალისწინებულ რეკომენდაციებს და ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებას. უნივერსიტეტს გაცხადებული აქვს, რომ მედიცინის სადოქტორო პროგრამის ამოქმედების თანავე განხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული მონიტორინგი

და შეფასება, რომლის მიზანია:

1. დადგინდეს, რამდენად არის მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და პოტენციური დამსაქმებლების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.
 2. დადგინდეს, პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტიმხარეები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ინტერვენციები პროგრამის განვითარებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის.
- უნივერსიტეტის განმარტებით განხორციელდება სტუდენტების მიღწევების სამიზნე ნიშნულთან დადარება და ანალიზი, იმ შემთხვევაში თუ სამიზნე ნიშნული არ იქნება მიღწეული, განისაზღვრება გაუმჯობესების გზები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.
- უნივერსიტეტმა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისთვის გაითვალისწინა 2011 წლიდანდღემდე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტოროპროგრამების მაჩვენებლები (მაგალითად, გამოქვეყნებისა და დაცვის მაჩვენებლები, მათი აკადემიური მოსწრება), ასევე საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან მიღებული უკუკავშირი. სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი დარეალისტური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- სამიზნე ნიშნულები, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- სადოქტორო პროგრამა;სილაბუსები/კონცეფციები;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები
- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს: დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ან მედიცინის მიმართულების მაგისტრთან გათანაბრებული კვალიფიკაცია; სადოქტორო კვლევითი განაცხადი; წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურების მიზნით, ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL (P/B at least 513 points; I/BT at least 78 points); IELTS (at least 5.5 points); FCE), ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - Certus, ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართი ან ცნობა; გასაუბრება</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადგან დაშვების წინაპირობაში აღნიშნულია დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაცია ჩნდება შეკითხვა, რამდენად შეესაბამება უკანასკნელი სადოქტორო პროგრამით მისაღწევ შედეგებს, კერძოდ, ბაზისური/კლინიკური მედიცინის მიმართულებით ახალი ცოდნის შექმნის მიზნით შეუძლია ინოვაციური კვლევების დაგეგმვა და განხორციელება, სამედიცინო კვლევების თანამედროვე და მაღალინფორმაციული მეთოდების გამოყენებით“.</p>

ამასთანავე, სტომატოლოგიის მიმართულებით კვლევა ნაკლებად შეესაბამება მედიცინის სადოქტორო პროგრამის შინაარსს და შესაბამისად პროგრამით განსაზღვრულ შედეგს, დასაზუსტებელია რა კრიტერიუმებით მოხდება ამ კვალიფიკაციის აპლიკანტების შერჩევა სადოქტორო პროგრამაზე და როგორ უპასუხებს სტომატოლოგიის კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტის განაცხადი ბაზისური/კლინიკური მედიცინის მიმართულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი www.iliauni.edu.ge;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო
- საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება.

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობა დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციის პირთათვის, განისაზღვროს დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის შეუსაბამობა პროგრამის შინაარსსა და გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, ასევე გასწორდეს ჩანაწერი მიღების წინაპირობაში „მედიცინის მიმართულების მაგისტრთან გათანაბრებული კვალიფიკაცია“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა სტრუქტურირებულია და შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამამ შემუშავების პროცესში გაიარა ეტაპები და როგორც შიდა, ისე გარე შეფასებები, რის შედეგადაც სტრუქტურამ და შინაარსმა მიღო საბოლოო სახე, რომელიც წარმოდგენილ იქნა აკრედიტაციისთვის. სადოქტორო პროგრამა - მედიცინა - მოიცავს ორ ქვე-მიმართულებას: 1) მოლეკულური დაექსპერიმენტული მედიცინა; 2) ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინა, რომელთა ფარგლებში დოქტორანტები განახორციელებენ სადოქტორო კვლევებს.

აღნიშნული ქვე-მიმართულებების მიხედვით ხდება დოქტორანტის მიერ განსხვავებული მეთოდოლოგიური სასწავლო კურსების ათვისება. (ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინის მიმართულებით დოქტორანტისთვის სავალდებულოა კურსები: „მოლეკულური მედიცინა“, და „ექსპერიმენტული კვლევა ბაზისურ მედიცინაში“, ხოლო ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინის მიმართულებისთვის კურსები: „ტრანსლაციური კვლევა“ და „პრეკლინიკური დაკლინიკური კვლევა“.

პროგრამის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტით. სადოქტორო პროგრამა იწყება სადოქტორო სემინარების სერიით. თითოეულის სემინარი 6 კრედიტიანია. პროგრამაში არსებული ჩანაწერი „სადოქტორო პროგრამაზე სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა სასწავლო კომპონენტში უნდა დააგროვოს მინიმუმ 60 კრედიტი“ ხაზს უსვამს, რომ სემინარიც წარმოადგენს სასწავლო კომპონენტს, თუმცა იქვე პროგრამაში გვხვდება განმარტება, რომ „სადოქტორო სემინარების ფარგლებში დოქტორანტები პროსპექტუსზე მუშაობენ ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელებთან ერთად. პროსპექტუსის მონახაზი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღების განაცხადში წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე“. ამ გარემოებამ ექსპერტებში დაბადა შეკითხვა, სემინარი მიეკუთვნებოდა სასწავლო თუ კვლევით კომპონენტს. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სემინარის ფარგლებში დოქტორანტები თავისივე კვლევის მაგალითზე სწავლობენ თუ როგორ იწერება სამეცნიერო ნაშრომი, ექსპერტების მოსაზრებით სახეზეა ე.წ. „ვიბრიდული“ მოდელი. ამ შემთხვევაში ცოტა რთულია კრედიტების რაოდენობის მინიჭების განსაზღვრა, თუმცა ამოსავალ წერტილს წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობის ლიმიტის დაცვა, რაც ამ შემთხვევაში დაცულია.

პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია სადოქტორო კოლოკვიუმების სერია, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და მისი კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების კითხვრი

<ul style="list-style-type: none"> ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამა დაყოფილია სასწავლო და კვლევით კომპონენტებად. კურსები წარმოდგენილია როგორც სილაბუსების, ისე კონცეფციების სახით. სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი კურსების სახით, მათ შორის ყველა სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია. არჩევითი კურსები ზოგად საუნივერსიტეტოა. თითოეული კურსისათვის თანაბარი კრედიტების მინიჭებამ ექსპერტებს შორის დაბადა კითხვა, თუ რამდენად გამართლებულია სხვადასხვა სიმძლავრის და მოცულობის კურსების თანაბარი კრედიტების ფარგლებში სწავლება. პროგრამის ხელმძღვანელობის განმარტებით, აღნიშნული საუნივერსიტეტო ხედვაა, რასაც იზიარებდა აკადემიური პერსონალი.</p> <p>სასწავლო კურსის „ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია: ინგლისური სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“ (რომლის მიზანია შეასწავლოს დოქტორანტებს ლოგიკური სამეცნიერო ნარატივის სტრუქტურირება და ორგანიზება მკაფიო და ეფექტური სტილის გამოყენებით) წინაპირობას წარმოადგენს „სადოქტორო სემინარი II“. თავის მხრივ, სადოქტორო სემინარების სერია სრულდება პროსპექტუსის წარდგენით და მისი დაცვით. აქედან გამომდინარე, მიზანშეუბონილია წინაპირობის გადახედვა. ვინაიდან პროსპექტუსის დაწერა და მისი დაცვა უკვე ადასტურებს იმ უნარების არსებობას, რასაც ერთერთ მიზნად ისახავს „ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია: ინგლისური სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“ სასწავლო კურსი.</p> <p>ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, ხოლო სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ</p>

მიღწევებზე და თავის მხრივ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ○ სადოქტორო პროგრამა, სილაბუსები
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია: ინგლისური სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“ წინაპირობის გადახედვა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსებისათვის მისანიჭებელი კრედიტების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული იქნას აღნიშნული კურსების სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი), მათი შინაარსი და მოცულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტებისა და ინიციატივების განხორციელებაში. უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები ახდენენ საქართველოსა და საზღვარგარეთ მიმდინარე პროექტების და გაცვლითი პროგრამების შესახებ დოქტორანტების ინფორმირებას. განვითარების სამსახური ამავდროულად სთავაზობს დოქტორანტებს დახმარებას საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; გრანტების ადმინისტრირებაში, დონორებთან ურთიერთობების გაღრმავებაში; დოქტორანტთა კომპეტენციების განვითარების მიზნით გამოყენებულია ევროკომისიის პროექტის NUCLEUS-ს კონსორციუმის წევრობის (2017 წლიდან) ფარგლებში არსებული შესაძლებლობები: აღნიშნული პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული კვლევებისა და ინოვაციების სტიმულირებას.</p>

უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამების მხარდაჭერის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განიხილავს 2017 წელს დაფუძნებულ კარლფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის არსებობას, რომელიც ორიენტირებული იქნება აკადემიური კულტურისა და კვლევითი გარემოს შექმნაზე და მისცემს შესაძლებლობას დოქტორანტებისტრანსფერული თუ კვლევითი უნარების განვითარების მიზნით. აღნიშნული საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, იქნება რა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და მობილობაზე ძლიერ ორიენტირებული, მსურველებს შესთავაზებს ორმაგ სადოქტორო პროექტებს (Cotutelle-based Ph.D. projects), რომელთა საშუალებითაც მათ ექნებათ შესაძლებლობა ორმაგი და/ან რამდენიმე ხარისხივ კი.

სადოქტორო პროგრამის კომპონენტების ფარგლებში დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა დაგეგმონ და განახორციელონ თანამედროვე მოითხოვნების შესაბამისი ინოვაციური კვლევა. პროგრამის პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია სადოქტორო კოლოკვიუმები, რაც აძლევს დოქტორანტს საშუალებას დამოუკიდებლად შეარჩიოს და დაგეგმოს კვლევა, შემდგომ ეტაპზე სწავლების პროცესში შეთავაზებულია მეთოდური კურსები, მათ ფარგლებში განვითარდება დოქტორანტის კვლევითი უნარები და მოხდება კვლევითი პროცესის სისტემატიზაცია, ხოლო სწავლების დამამამთავრებელ ეტაპზე მომზადდება სადისერტაციო ნაშრომი. სადოქტორო კვლევის შედეგების დისემინაცია ხდება სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებით (სულ მცირე ორი) საერთაშორისო რეცენზირებად გამოცემებში, დოქტორანტთა კვლევის პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით ვფიქრობთ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ინიციატივით დაწესებული პასკალის პრემია - ფულადი ჯილდო (3000 ლარი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირებული ახალგაზრდა მეცნიერისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო პუბლიკაციის მხარდასაჭერად.

თუმცა, პროგრამით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, ბუნდოვანია დოქტორანტების როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე მხარდაჭერის საკითხები.

პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე კვლევის მხარდაჭერის მიზნით გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- აკად. ფ. თოდუას სამედიცინო ცენტრი
- ავერსის კლინიკა,
- ჩაფიდის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი,
- პინეო სამედიცინო ეკოსისტემა,
- სამედიცინო ცენტრი ინოვა,
- ივ. ბოკერას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი,
- თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა,
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი,
- ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;

იმ შემთხვევაში, თუ კვლევა ითვალისწინებს საცდელი ცხოველების გამოყენებას და

<p>ადამიანების ცდის პირებად ჩართვას კვლევაში, კვლევის ეთიკურობის დამდგენი კომისიის მიერ უნდა შემოწმდეს კვლევის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ეთიკის საუნივერსიტეტო და საერთაშორისო ნორმებთან და რეგულაციებთან შესაბამისობა.</p> <p>დოქტორანტების კვლევის მხარდაჭერას უზრუნველყოფს მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. აღნიშნული ინსტიტუტის ბაზაზე 2019 წლიდან განვითარდა სამეცნიერო ბიო- ბანკი.</p> <p>მედიცინის სადოქტორო პროგრამაში ჩართულია დარგის როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მაღალკვალიფიციური მკვლევარები. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტებს კვლევის განხორციელებაში ასისტირებას გაუწევენ უცხოელი კონსულტანტები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სადოქტორო პროგრამა ○ ხელშეკრულებები/მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან ○ სტრუქტურული ერთეულების დებულებები ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი http://iliauni.edu.ge
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, დოქტორანტის ფინანსური ვალდებულებების დაზუსტება.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად პროგრამაში გამოყენებულია სწავლა/სწავლების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>პროგრამაში გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი,</p>

ლაბორატორიული მეთოდი, დებატები, პრეზენტაცია, რეფლექსია, სუპერვიზია და სხვა. განსხვავებული მოთხოვნების სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. „არგუსის“ ან კორპორატიული მეილის საშუალებით დოქტორანტები მიმართავენ კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელებს ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), სადაც პერსონალს თავაზობენ ტრენინგ-მოდულებს, მათ შორის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარების მიზნით.

აღნიშნული ტრენინგ მოდულები შემუშავებულია ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე Erasmus+ ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/Ex-Tempus) 2017 წლის საგრანტო კონკურსის 3 პროექტის ფარგლებში (INTEGRITY, PRINTeL, ASSET).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მედიცინის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების ცოდნის და უნარების შეფასების სისტემა იძლევა დოქტორანტის მიღწევებისა და სწავლის შედეგების შეფასების საშუალებას და შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე შიდასა უნივერსიტეტო რეგულაციებს, უნივერსიტეტი სტუდენტებს თავაზობს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემას („არგუსი“), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებასა და გამჭვირვალობას, შესაბამისად სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას დოქტორანტი თავიდანვე ეცნობა სილაბუსებს, სადაც განსაზღვრულია შეფასების წესი და

კრიტერიუმები. შეფასების სისტემა, მათ შორის შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები დეტალურად განსაზღვრულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით.

სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა დგინდება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა რიგ შემთხვევებში შეფასების რუბრიკები მოითხოვს დაზუსტებას, ასეთებია კერძოდ:

- ნათლად ჩამოყალიბება და ლოგიკური არგუმენტირება - მაქს.10 ქულა;
- მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნები - მაქს. 10 ქულა;
- დისკუსიის სისრულე და შესაბამისობა - მაქს.10 ქულა.

დოქტორანტურის დებულებასა და სადისერტაციო ნაშრომის კონცეფციაში განსაზღვრულია ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები:

- ა) სადისერტაციო ნაშრომი მისაღება დაცვისთვის ცვლილებების/კორექტირების გარეშე;
- ბ) სადისერტაციო ნაშრომი მისაღება დაცვისთვის ცვლილებების/კორექტირების შემდეგ;
- გ) სადისერტაციო ნაშრომი არ არის მისაღები დაცვისთვის.

გადაწყვეტილება ნაშრომის დაცვის შესახებ მიიღება ხმათა უმრავლესობით. კერძოდ: ა) პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების შემთხვევაში ინიშნება დისერტაციის (ზეპირი) დაცვა;

ბ) პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების შემთხვევაში რეცენზენტებს და სადისერტაციო საბჭოს წევრებს კორექტირებული ნაშრომი წარედგინება ხელახლა განსაზღვრულ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ კორექტირებული ნაშრომის საფუძველზე რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით მიიღება ბ- ან გ) პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება, დოქტორანტი გაირიცხება პროგრამიდან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო; გ) პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების შემთხვევაში დოქტორანტი გაირიცხება პროგრამიდან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის ადმინისტრაცია რეცენზენტებთან და სადისერტაციო კომისიის წევრებთან ათანხმებს დისერტაციის დაცვის დღეს (თარიღს).

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. სადოქტორო ნაშრომები იტვირთება პროგრამაში „Moodle” და მოწმდება პლაგიატზე პროგრამა „Turnitin”-ით. პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუს დროს აჩვენა შეფასების თანამედროვე მეთოდების სათანადო ცოდნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა; სილაბუსები/კონცეფციები;

<ul style="list-style-type: none"> ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ○ დაზუსტდეს შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები, რათა ნათელი გახდეს დოქტორანტისათვის თითოეული ქულის დაგროვების მექანიზმი. ○ სადისერტაციო შრომათა ვებგვერდზე განთავსების, უნივერსიტეტის და ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაბარების სავალდებულო წესის შემუშავება;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> ✓ <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვის სების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან

დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტს საჭიროინფორმაციის მიღება შეუძლია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისაგან. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომლითაც სტუდენტს შეუძლია დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, მიიღოს ინფორმაციამიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის კონსულტირების მიზნით თითოეულ სასწავლო კურსშიპედაგოგის აკადემიურ დატვირთვას ემატება საკონსულტაციო საათები. ინფორმაციაკონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია დოქტორანტებისთვის. ინტერვიუებითდგინდება, რომინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სტუდენტებს აქვთ კომუნიკაცია შესაბამის აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალთან.

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სტუდენტების გამოკითხვა. ამისათვის ეფექტური პლატფორმაა ელექტრონული სისტემა „არგუსი,“ სადაც ინდივიდუალური რეგისტრაციის შემდეგ წვერიანდება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტები. სისტემაშიუზრუნველყოფილია სტუდენტსა დალექტორს შორის ინტერაქცია, რისი საშუალებითაც სტუდენტმა ონლაინ რეჟიმშიშეიძლება გაიაროს კონსულტაცია მისთვის საინტერესო საკითხთან ან კურსთანმიმართებაში.

კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული მხარდაჭერის კონტექსტში აღსანიშნავია მზარდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელსაც სტუდენტების ინტერესების დაკმაყოფილებაშეუძლია. სწავლის საფეხურისა და დარგის გათვალისწინებით (ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა წარმართა ფაკულტეტის სხვადასხვა პროგრამების დოქტორანტებთან), აღსანიშნავია, რომ დოქტორანტთა გარკვეული ნაწილი დასაქმებულია. შესაბამისად, მათთვის პრიორიტეტულია მოქნილი სასწავლო განრიგი, რაც უნივერსიტეტის მხრიდან უზრუნველყოფილია.

ბიბლიოთეკა სისტემატურად მართავს ტრენინგებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემისა და რესურსების (Moodle, ელექტრონული ბაზები) მოხმარებისსაკითხებზე. ინფორმაცია რეგულარულად თავსდება ვებგვერდზე და ეგზავნებადოქტორანტებს ელექტრონულ ფოსტაზე.

დოქტორანტებისთვის სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივებიარსებობს - თავისთავად ინგლისურენოვანი პროგრამის არსებობა უნივერსიტეტის ამ მიმართულების შესაძლებლობებს უსვამს ხაზს. სწავლებაში ასევე ჩართულია უცხოელი პედაგოგი. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგარეო ურთიერთობებისსამსახური და განვითარების სამსახური, რომლებიც ხელს უწყობს უცხოელი მკვლევრებისა და პროფესორების მობილობას ილიასსახელმწიფო უნივერსიტეტში. საგარეო ურთიერთობების სამსახური თანამშრომლობსფაკულტეტებთან ერთობლივი პროგრამების შემუშავების მიზნით. სამსახურს შემუშავებულიაქვს სადოქტორო დონეზე ორმაგი ხარისხის მისაღებად საჭირო პროცედურები დადოკუმენტების ნიმუშები, მათ შორის ჩარჩო ხელშეკრულება და

ერთობლივი ხელმძღვანელობის შეთანხმება.
 ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ვებგვერდის, „არგუსის“, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან.
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სტუდენტური სერვისების სამსახურის დებულება
- ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა <http://library.iliauni.edu.ge>
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი“ – www.argus.iliauni.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის პროგრამის მიზანი, რომელიც ითვალისწინებს ცოდნითა და აუცილებელი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც სამედიცინო სფეროში დამოუკიდებელი კვლევების ჩატარების, მიღებული შედეგების სათანადო ინტერპრეტაციისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების უნარი ექნებათ, მიიღწევა თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების წარმატებული განხორციელებით. აღნიშნული კი გულისხმობს ამ კომპონენტების განმახორციელებელ პირთა სათანადო კვალიფიკაციას. დოქტორანტების ხელმძღვანელების კომპეტენციას ადასტურებს მათი მრავალწლიანი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება.

უნივერსიტეტის მხრიდან მკაფიოდ განსაზღვრულია დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლებები, მოვალეობები და ფუნქციები. ხელმძღვანელი დოქტორანტებს უზიარებს

ინფორმაციას, რაც საჭიროა სადოქტორო კვლევის წარმატებით განხორციელებისთვის. აქტიურად უჭერს მხარს დოქტორანტების სამუშაოს დაგეგმვის დამოუკიდებელი გზის ძიებას. იგი ეხმარება დოქტორანტებს, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით. დოქტორანტების ხელმძღვანელებს აქვთ მრავალწლიანი ურთიერთობა დარგის სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით თუ საგანმანათლებლო ცენტრებთან, რაც ერთობლივი პროექტების დაგეგმვით ან სასწავლო კომპონენტში მონაწილეობით გამოიხატება. სწავლის შედეგების ერთ-ერთ სამიზნე ნიშნულად დასახელებულია დოქტორანტურის სტუდენტის მიერ მინიმუმ ორ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება. ხელმძღვანელის როლი ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“ <http://argus.iliauni.edu.ge>;
- სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამაში შეძველი კურსების სილაბუსები/კონცეფციები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო
- საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- დოქტორანტების ხელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის 8 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, თითოეული მათგანი აფილირებულია ილიას უნივერსიტეტთან. უკანასკნელ 2 წელიწადში მედიცინის მიმართულების აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა უნივერსიტეტში გაიზარდა სამჯერ. მათაქვთ მედიცინის სხვადასხვა დარგში მრავალწლიანი სასწავლო და კვლევითი გამოცდილება, შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაცია პასუხობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის დონეს და თანხვედრაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან,

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის არსებული თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან 24/0 უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სწავლებაში ასევე ჩართულია 4 უცხოელი აკადემიური/მოწვეული პირი, რომელთაგან 2 მონაწილეობს მიმდინარე კვლევაში. პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა საკმარისია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

სადოქტორო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთა მაღალი კვალიფიკაცია და სამეცნიერო გამოცდილება შეესაბამება სადოქტორო პროგრამის შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების მოთხოვნებს. ისინი ამავდროულად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში; პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილება დასტურდება მათი პირადი საქმეებით, ინტრვიუებით.

უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციების თანახმად ფაკულტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, თუმცა აკადემიური პერსონალის

დატვირთვის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ერთ ხელმძღვანელზე განსაზღვრული აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების რაოდენობა იყოს 5-ზე ნაკლები, მაქსიმალური რაოდენობა 3.

პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი, რომლის ადმინისტრაციასა და დამხმარე პერსონალს წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და სასწავლო პროცესის კოორდინატორი. მედიცინის მიმართულების პროგრამების გაძლიერების და პოპულარიზაციის მიზნით ფაკულტეტზე დაფუძნდა ახალი ერთეული - მედიცინის სკოლა, რომელიც ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად მოახდენს პროგრამის უწყვეტ განვითარებას. დოქტორანტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დებულება;
- პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკადემიური პერსონალის დატვირთვის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ერთ ხელმძღვანელზე განსაზღვრული აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების რაოდენობა იყოს 5-ზე ნაკლები, მაქსიმალური რაოდენობა 3.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

<ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს და ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას. შეფასების შედეგები არის პერსონალის პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დაწინაურების საფუძველი;</p> <p>2017 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით.</p> <p>უნივერსიტეტი ორიენტირებულია, ხელი შეუწყოს ხარისხიანი კვლევების სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, რის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც მხარს უჭერს უნივერსიტეტს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში.</p> <p>განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევის მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას.</p> <p>პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგების შეთავაზებას. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას და ჩართვას სამეცნიერო აქტივობებში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.3მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა მედიცინა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას ემსახურება და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებით: მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; ბიოხანკი; ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტი; გენეტიკის ლაბორატორია;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით (სასწავლო კურსების სილაბუსების შესაბამისად).

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით და მოიცავს: სამკითხველო დარბაზებს; ჯგუფური მუშაობის სივრცეებს; მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს; კომპიუტერული რესურს ცენტრებს; შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახს; წიგნსაცავებს და სხვ.

ბიბლიოთეკაში მოქმედებს სარგებლობის წესები, რომელიც სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა, თუ სხვა ტიპის სივრცეებში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მუდმივად განახლებადია. ხელმისაწვდომია საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციები, ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და სხვ. რესურსი: Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science); Scopus; Ulrich's Index; ERIH PLUS; EBSCOHost; Latindex Catalogue; და სხვ.

ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრენინგებს: „სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენებისა“ და „საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ“. რაც უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის იმ რესურსებისა და სერვისების გაცნობას, რომლის გამოყენებასაც ბიბლიოთეკა სთავაზობს მათ სასწავლო და კვლევით პროცესში.

○ საუნივერსიტეტო ინტერაქცია ხორციელდება ელექტრონული ფოსტის და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის „არგუსის“ გამოყენებით. მათი საშუალებით საუნივერსიტეტო საზოგადოება და სტუდენტები იღებენ სიახლეების შესახებ ინფორმაციას და აქვთ საშუალება დისტანციურად იქონიონ უკუკავშირი ბიბლიოთეკასთან და პირიქით. პროგრამა მხარდაჭერილია ისეთი სისტემებით, როგორცაა Moodle და Turnitin.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები <http://library.iliauni.edu.ge>;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ <http://argus.iliauni.edu.ge>;
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/biblioteka/elektronuli-resursebi>.
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მედიცინის სადოქტორო პროგრამის განხორციელება ეკონომიკურად მიღწევადია, ვინაიდან უნივერსიტეტი საკუთარი ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მხარდაჭერას.

პროგრამა იყენებს უნივერსიტეტში არსებულ მატერიალურ-ტექნიკური ბაზას, მათ შორის ლაბორატორიებს, სალექციო და საპრეზენტაციო სივრცეებს, ელექტრონულ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ბაზებს.

კვლევებისთვის საჭირო ხარჯვადი მასალებით უზრუნველყოფა ხორციელდება საგრანტო დაფინანსებიდან.

სადოქტორო პროგრამაზე სწავლა უფასოა საქართველოს მოქალაქეებისთვის, ხოლო

უცხოელი დოქტორანტები გადაიხდიან უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ გადასახადს, რაც პროგრამის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროა.

პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი. პროგრამაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომლის ანაზღაურებაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი სტუდენტური პროექტების მიმართულებით, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან უზრუნველყოფს წარჩინებული დოქტორანტების სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაფინანსებას. ასევე, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კვლევების შედეგების პრეზენტაციის, გამოცემის და სამეცნიერო ღონისძიებებზე წარდგენის ხარჯებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და საერთაშორისო ჟურნალებში მათი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას.

მედიცინის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი სულ არის 70000 ლარი (გათვლა განხორციელებულია 5 დოქტორანტზე).

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: შრომის ანაზღაურება, სხვა სახელფასო (კოორდინატორის) ანაზღაურება, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული დანახარჯები ერთ სტუდენტზე, პროგრამის სხვა სასწავლო მასალების შეძენის ხარჯი, თანხა განვითარებისთვის.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ახორციელდება უნივერსიტეტის ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან, მასში ასახული შემოსავალ-გასავლების კატეგორიების მიხედვით.

- სასურველია, გაკეთდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი, სადაც იქნება ასახული კონკრეტული ადმინისტრაციული/აკადემიური პოზიცია და ანაზღაურება (მოწვეული/აფილირებული და საათობრივი), სამეცნიერო კვლევის სახე, ჩართული პირების რაოდენობა და კვლევისთვის საჭირო ხარჯის (მასალები, რეაქტივები და სხვ.) სტრუქტურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დებულება;
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება;
<https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf>
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი;
- თვითშეფასების კითხვარი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაკეთდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი, სადაც იქნება ასახული კონკრეტული ადმინისტრაციული/აკადემიური პოზიცია და ანაზღაურება, სამეცნიერო კვლევის სახე, ჩართული პირების რაოდენობა და კვლევისთვის საჭირო ხარჯის

(მასალები, რეაქტივები და სხვ.) სტრუქტურა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას. ამ პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის სამსახურის სპეციალისტი და მთლიანად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.</p> <p>უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტს განსაზღვრავენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა გარე მარეგულირებელი ჩარჩო, უნივერსიტეტის პოლიტიკა და</p>

პრიორიტეტები, სტრუქტურა და რესურსები და დაინტერესებული მხარეები.
 უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორცაა: გამჭვირვალობა და გაზიარებულობა; მონაწილეობითობა; უწყვეტობა; აკადემიური კეთილსინდისიერება და თავისუფლება; ანგარიშვალდებულება.
 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების (პროგრამის) შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.

შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამების (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით.

პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაცია, ასევე, ფაკულტეტის ხარისხის სამსახური. თუმცა პროცესში არ მონაწილეობდნენ სტუდენტები. სასურველი იქნებოდა სტუდენტების ჩართულობის ზრდა როგორც თვითშეფასების მიმართულებით, ასევე პროგრამის განვითარების თვალსაზრისით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
 - სადოქტორო პროგრამების კვლევის ანგარიში;

რეკომენდაციები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველი იქნებოდა თვითშეფასების განხორციელების პროცესში სტუდენტების მეტი ჩართულობა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასება ტარდება კურსდამთავრებულთა და პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობით. ასეთი კვლევის მიზანია პროგრამის განვითარება დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ, 2020 წელს, ჩატარდა დამსაქმებელთა კვლევა მედიცინის დოქტორანტურის საფეხურზე. კვლევა ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდით. კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად პროგრამაში გათვალისწინებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსი - „ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაციები“ - განისაზღვრა როგორც ძირითადი სასწავლო კომპონენტი;
- დამატებითად დაზუსტდა კვლევითი პროექტის ბიოთიკის ნორმების დაცვის პროცედურები
- პროგრამაში მოხდა „დასაქმების სფეროების“ ფორმულირების კორექტირება;
- მოხდა პროგრამის დახასიათების საბოლოო ფორმულირების შემუშავება.

პროგრამა ასევე შეფასებული იყო უცხოელი კოლეგების მიერ (Leonid Margolis, Ph.D, Thierry Berney, Prof. Antonia Follenzi, MD, Ph.D) და მათი მხრიდან გაიცა რეკომენდაცია: „სტუდენტების მიერ სხვადასხვა სამეცნიერო საქმიანობაში (მაგ. სტატისტიკური ანალიზი ან სამეცნიერო კვლევის მეთოდები) მენტორების არჩევის შესაძლებლობა (ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან ერთად), გაზრდის დოქტორანტების მიერ დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს“. აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე პროგრამაში ჩაერთო სპეციალისტები ეპიდემიოლოგიის, დიდი მონაცემების დამუშავების და სამეცნიერო კომუნიკაციის კუთხით (ვინჩენცო ლაგანი, კორტ ანდერსონი, დავით ოთიაშვილი), ისინი მენტორობას გაუწვევენ დოქტორანტებს ამ კვლევითი უნარების განვითარების პროცესში.

პროგრამის ფორმირების პროცესში გათვალისწინებულია 2011 წლის (ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა) აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები, რჩევები და მოსაზრებები. კერძოდ, პროგრამის განახლებულ სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული კლინიკური პრაქტიკის კომპონენტი, რადგანაც პროგრამა არის ორიენტირებული კვლევითი უნარების განვითარებაზე. გამიჯნულია ეპიდემიოლოგიის კომპონენტი, ძლიერი აქცენტი არის გაკეთებული ბიოეთიკის და კვლევითი ეთიკის საკითხებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უცხოელი კოლეგების გარე შეფასება/უკუკავშირი;
- 2011 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა;
- მედიცინის სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ინტერესებისათვის სასურველი იქნებოდა ღრმა ანალიზის მომცველი

პროგრამის გარე შეფასება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ახორციელებს როგორც გეგმიური ტიპის სისტემურ კვლევებს/შეფასებებს, ასევე საჭიროებაზე დაფუძნებულ კვლევებს/შეფასებებს. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უწყვეტობა შესაბამისობაშია “Plan, Do, Check, Act” პრინციპთან. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება უნივერსიტეტის საქმიანობის კვლევა/შეფასება. კვლევის შედეგები მიეწოდებათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ საქმიანობის სუსტ და ძლიერ მხარეებს; ასევე, საზღვრავენ გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და სტრატეგიას, რაც აისახება შესაბამის ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს. მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები და ინტერვენციები, რომლებიც, თავის მხრივ ფასდება ზემოთ აღწერილი ციკლური პროცესის შემდგომ ეტაპზე. პროგრამებთან, უნივერსიტეტის საქმიანობასა და კვლევით პროცესებთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ასახულია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია შიდა ხარისხის პოლიტიკით და ეფუძნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
--

<ul style="list-style-type: none"> ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ○ სადოქტორო პროგრამების კვლევის ანგარიში; ○ ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის ინტერესებისათვის სასურველი იქნებოდა გარე შეფასებაში დამსაქმებლების მჭიდრო უკუკავშირი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> ✓ <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

მედიცინის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა


სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა 

სახელი, გვარი, ხელმოწერა და ვით ჯიქია 

სახელი, გვარი, ხელმოწერა ანი ბილანიშვილი 